მზიური

საქმიანობის შესახებ

2016 წელს, ა(ა)იპ „მზიანის“ პროექტ „ახალი მზიურის“ ფარგლებში, საჯარო და კერძო სექტორის უპრეცედენტო მხარდაჭერით, შეიქმნა სოციალური საწარმო „მზიურის კაფე“, რომლის ფარგლებში სრულიად განახლდა და აღიჭურვა კაფეს ისტორიული შენობა და მიმდებარე საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც მოიცავს ამფითეატრს და ბავშვთა სათამაშო მოედანს. „მზიურის კაფის“ **სოციალური მისიაა**, შექმნან ყველა შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის ხელმისაწვდომი კაფე, რომელიც არის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების მხარდამჭერი და ინიციატორი.

მომსახურება

„მზიურის კაფე“ მომხმარებელს სთავაზობს:

- **სრულად ადაპტირებულ სოციალურ კაფეს ქალაქის ცენტრში, რეკრეაციულ ზონაში**
- **კვების მიწოდების სერვისს სხვადასხვა ღონისძიებაზე**
- **შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ, ღონისძიების გასამართ ადაპტირებულ სივრცეს**

სოციალური შედეგები

- საწარმოში დასაქმებულია 16 პირი
- არსებობის მანძილზე „მზიურის კაფემ“ 90 000-მდე ვიზიტორს უმასპინძლა
- პროექტ „ახალი მზიურის“ ფარგლებში გაიმართა 500-ზე მეტი შემეცნებითი ღონისძიება
- მიღებული შემოსავლებით დაფინანსდა სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები, რომელიც მზიურს ნებისმიერი შესაძლებლობის ადამიანებისათვის, ურთიერთობის, შემოქმედებისა და შემეცნების სივრცედ გადააქცევდა და ამგვარად მზიურის იდეის მიმართ გაზრდიდა საზოგადოებრივ ინტერესს.

www.cafemziuri.ge

+995577687575

cafemziuri@gmail.com

https://www.facebook.com/cafemziuri

ჭავჭავაძის 23, თბილისი, საქართველო